საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724311001
თარიღი:06/11/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N 18

დ. ლენტეხი. 17 ოქტომბერი 2024წ.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 16(თექვსმეტი) წევრი. საკრებულოს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით პირველი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი და არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ელისო გაზდელიანი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის 9 თვის ანგარიში - 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.**

   /მომხს: საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის 9(ცხრა) თვის ანგარიშის მოსმენა.**

   /მომხს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი /

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42.45.30“ და აღმოსავლეთ გრძედის 43.00.03“ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-97.97230311 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შნიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის 9 თვის ანგარიში 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მომხსენებელმა სრულყოფილად გაშიფრა ბიუჯეტის ყველა მუხლი. მომხსენებელმა ბოლოს აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შესრულებულია 72%-ით.**

   შეკითხვა დასვა : საკრებულოს წევრმა ირინა ლიპარტელიანმა - ბიუჯეტი თუ 72%-ით არის შესრულებული, აიპიებს ხომ არ აქვთ დაფინანსების პრობლემა.

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რათქმა უნდა არის პრობლემა, მაგრამ წლის ბოლომდე გასწორდება ეს საკითხი.

   ლამზირა გუგავამ დასვა შეკითხვა - სოციალური დაფინანსების მუხლს თუ დაემატება თანხა?

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა თანხა დაემატება აღნიშნულ მუხლს.

   მომხსენებელმა ყველა დასმულ შეკითხვას გასცა ამომწურავი პასუხი.

   სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მერიის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ცხრა თვის ანგარიშის დადებითად შეფასება.

სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის 9 თვის ანგარიში 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეფასდეს დადებითად.

2. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევანი ლიპარტელიანმა წარმოადგინა 9(ცხრა) თვის ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა წლების მიხედვით არ გვაქვს პრობლემა პროექტების მომზადებაზე. უკვე გვაქვს თანხა და წინასწარ გვაქვს მომზადებული პროექტები. სულ დაფინანსებულია 50 პროექტი.მთავარია პროექტები დასრულდეს დროზე.

იყო შეკითხვა ფასებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბევრ პროექტზე მოხდა ფასების გადაფასება.

შეკითხვა დასვა თორნიკე გასვიანმა აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის გაკეთებაზე.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება გათვალისწინებულია.

შეკითხვა დასვა სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა: რა არის სამსახურის ძირითადი პრობლემა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გვყავს კარგი შემსრულებელიც და ცუდი შემსრულებელიც. ადგილობრივ შემსრულებლებს არ აქვთ შესაბამისი თანხები და ეს იწვევს პროცესის დაყოვნებას და უჭირთ ტენდერების დროზე დასრულება.

მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასება.

სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის 9 თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42.45.30“ და აღმოსავლეთ გრძედის 43.00.03“ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-97.97230311 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული განკარგულების მიღების დროს დაშვებული იქნა შეცდომა. კერძოდ აღნიშნული განკარგულების პროექტი თანდართულ მასალასთან ერთად უნდა გადაგზავნილიყო გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამთავრობო კომისიაში. მომართვა შემოსული იყო მერიიდან თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ინიციატივის საფუძველზე.

აუცილებელია საკითხი თავიდან მომზადოს საკრებულოს შესაბამისმა კომისიამ. ამისთვის პირველ რიგში ბათილად უნდა ვცნოთ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-97.97230311 განკარგულება.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს აღნიშნული ინფორმაცია და ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42.45.30“ და აღმოსავლეთ გრძედის 43.00.03“ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის N-97.97230311 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა დღის 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი